თბილისის “დინამოს” მესამე გამარჯვება

6 ივნისს, “სსრ კავშირის თასის” გათამაშების მესამე წრეში თბილისის “დინამოს” (ოსტატები) და ბაქოს “ნეფთიანიკების” ფეხბურთელთა კოლექტივების შეხვედრამ ამხანაგ ლ. ბერიას სახ. სტადიონზე 20 ათასამდე მაყურებელს მოუყარა თავი.

6 ს. 5 წ. გაისმა მსაჯის ნიშანი და თეთრ მაიკა-ტრუსებიანი “დინამოელები (ოსტატები) ძირითადი შემადგენლობით გამორბიან მოედანზე: მეკარე – დოროხოვი, მცველები – შავგულიძე და ნიკოლაიშვილი; ნახევარდაცვა – გაგუა, მინაევი და ჯორბენაძე; თავდასხმა – გავაშელი, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ასლამაზოვი და სომოვი.

ოსტატების მოპირდაპირე მხარეს დგას “ნეფთიანიკების” კოლექტივი – მეკარე გრიბენკოვი, მცველები – ბუსალაევი და ისმაილოვი; ნახევარდაცვა – კუზნეცოვი, ნეხოროშოვი და ნიფონტოვი; თავდასხმა – გნეზდოვი, მირონოვი, ზერნოვი, კიტაევი და აბრამოვი.

მსაჯის მეორე ნიშანზე ბურთმა მოუსვენრად მოხაზა რამდენიმე მრუდი თავდამსხმელთა ათეულში და ოსტატების მიერ ელვის სისწრაფით გატაცებული – პირველ წუთშივე სტუმრების საჯარიმო მოედანზე აღმოჩნდა. კარებზე ზედიზედ მიტანილ მძლავრმა იერიშმა სტუმრებში ერთგვარი დაბნეულობა შეიტანა. ამ დროს ნახევარმცველ ჯორბენაძისაგან მოწოდებულ ბურთს სწრაფად ისწორებს ფეხზე თავდამსხმელი ასლამაზოვი და ძლიერი დარტყმით ხსნის ანგარიშს – 1:0. ეს იყო მე-5 წუთზე. ოსტატებმა კიდევ უფრო გააძლიერეს იერიშები და სტუმრების კარებთან გახშირდა კრიტიკული მომენტებიც. მე-12 წუთზე თავდასხმის ცენტრი პაიჭაძე მოხერხებულად უსხლტება სტუმრების მცველებს და ერთსა და იმავე დროს – 4 მეტრიდან “მკვდარ” კუთხურ ბურთს ატარებს კარებში და მცველისაგან ფეხგამოშლილი თვითონაც თავდაყირას გადადის კარების წინ. მსაჯი ნიშნავს თერთმეტმეტრიან საჯარიმო დარტყმას. მეკარე გრიბენკოვი შეეცადა მ. ბერძენიშვილის მიერ 11 მეტრიან საჯარიმო დარტყმიდან კარებში გაგზავნილ ბურთის აღებას, მაგრამ... პენალტების ოსტატის ამ ბურთს მხოლოდ ბადეში მოუსწრო.

შემდგომ შეტევებს ანგარიში არ შეუცვლია და თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 2:0-ზე ოსტატების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი შედარებით მკრთალად დაიწყო და ასევე არასაინტერესოდ დამთავრდა. თამაშის მთელ მანძილზე საგრძნობი იყო ოსტატების უპირატესობა სტუმრებისადმი და სწორედ ეს იყო “მოშვებული” თამაშის შედეგიც. თამაშის დამთავრებამდე მხოლოდ ორ მეტად საინტერესო მომენტს ჰქონდა ადგილი: 1-ლი, როდესაც პაიჭაძემ ცენტრიდან გატაცებული ბურთი ოსტატურად აარიდა წინშემოხვედრილ ოთხ მოწინააღმდეგეს და მეკარე გრიბენკოვთან პირისპირ დარჩენილმა ასევე ოსტატურად გაატარა კარებში.

მეორე საინტერესო მომენტი, ეს თბილისის კარებისაკენ დანიშნული 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმა იყო. მეკარე დოროხოვი ცახცახით მისჩერებოდა საჯარიმო წერტილზე დადებულ ბურთს. მსაჯის ნიშანზე კარებისაკენ მძლავრად გაგზავნილს ბურთი კარების ზედა ძელს მოხვდა და უკანვე საჯარიმო მოედნისაკენ დაბრუნებული ოსტატების თავდაცვამ ცენტრისაკენ გადისროლა.

სტუმრების ამ “მარცხის” შემდეგ მალე მატჩის დამთავრების ნიშანიც გაისმა. შეხვედრა დამთავრდა 3:0 თბილისის ოსტატების სასარგებლოდ.

თამაში მშვენივრად ჩაატარა მსაჯმა ამხ. მელნიჩუკმა (როსტოვი დონზე).

პენალტი.
“ახალგაზრდა კომუნისტი”, 8 ივნისი, 1937 წ.